

MDF-ის მედიის საარჩევნო გზამკვლევი

# სასარგებლო ელექტრონული რესურსები

მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

Kingdom of the Netherlands

მედიას აქვს ვალდებულება, ამომრჩეველს მიაწოდოს სრულფასოვანი ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტებისა და საარჩევნო პროცესის შესახებ. წინამდებარე გზამკვლევი დაეხმარება ჟურნალისტებს, ხელი მიუწვდებოდეთ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც არჩევნების სიღრმისეულ გაშუქებას შეუწყობს ხელს; ასევე დაეხმარება მათ გადაამოწმონ სხვადასხვა ელექტრონული თუ ფოტო წყაროების სანდოობა.

## პარტიების საარჩევნო პროგრამები

მნიშვნელოვანია, მედიამ ამომრჩეველს არა მხოლოდ მიმდინარე არჩევნების შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია, არამედ შეახსენოს მათ, თუ რა საარჩევნო პროგრამით გამოდიოდა ეს თუ ის პარტია წინა არჩევნებზე. ნიდერლანდების ინსტიტუტის მრავალპარტიული დემოკრატიისათვის (NIMD) პორტალი www.partiebi.ge სასარგებლო რესურსია საარჩევნო სუბიექტების პროგრამული ხედვების გასახსენებლად.




პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შესასწავლად, მათ შორის წინა არჩევნების მონაცემების შესადარებლად, სასარგებლო რესურსია ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის პორტალი www.econpolicyfact.ge.

EPRC Economic Policy Research Center ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები

## პარტიების ფინანსური გამჭვირვალობა

პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციების შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებ-გვერდზე www.sao.ge.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს პორტალი www.transparency.ge/politicaldonations შესაძლებლობას იძლევა 2012 წლიდან მოყოლებული მონაცემები პარტიებისა და შემომწირველების მიხედვით მოიძიოთ.

საქართველოში მოქმედი პოლიტიკური
პარტიების შემოწირულებები

## თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციები

იმ კანდიდატთა ბექგრაუნდის უკეთ გაცნობაში, ვინც საჯარო სამსახურში იმსახურა, თანამდებობის პირთა დეკლარაციები დაგეხმარებათ. საჯარო სამსახურის ბიუროს ელექტრონული პორტალზე www.declaration.gov.ge მონაცემები 1998 წლიდან არის ხელმისაწვდომი.

თანამდებობის პირთა ქონებრივი
დეკლარაცია
DECLARATION.GOV.GE

## ამომრჩეველთა სიები

რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ელექტრონული გადამოწმება შესაძლებელია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე www.voters.cec.gov.ge.



## რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტები

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

ინფორმაცია რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტებისა და საარჩევნო ღონისძიებების შესახებ ხელმისაწვდომია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე www.cesko.ge.

## წინა არჩევნების მონაცემები

მონაცემები წინა არჩევნების შედეგების შესახებ ხელმისაწვდომია www.data.electionsportal.ge.



**2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები**

| | | |
|---|---|---|
| გიორგი მარგველაშვილი (ქართული ოცნება) | 1,012,610 | 62.09% |
| დავით ბაქრაძე (ნაც. მოძრაობა) | 354,062 | 21.71% |



**2012 წლის საპარლამენტო არჩევნები - მაჟორიტარული**

| | | |
|---|---|---|
| ქართული ოცნება | 1,141,349 | 53.25% |
| ნაც. მოძრაობა | 887,144 | 41.39% |

## თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისია

ინფორმაცია საარჩევნო პროცესში გამოვლენილ დარღვევებზე სამთავრობო უწყებათაშორისი კომისიის რეაგირების შესახებ ხელმისაწვდომია იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე www.justice.gov.ge.

## საარჩევნო დარღვევები და ინციდენტები

მონაცემები საარჩევნო დარღვევებისა და ინციდენტების შესახებ ხელმისაწვდომია სადამკვირვებლო ორგანიზაციების – ISFED, GYLA, TI – არჩევნების პორტალზე www.electionsportal.ge.

## მედია გამჭვირვალობა

მონაცემები მედია საშუალებების დამფუძნებლების, ფინანსური და პოლიტიკური კავშირების, ასევე სარედაქციო პოლიტიკის შესახებ ხელმისაწვდომია მედიის განვითარების ფონდის პორტალზე www.mediameter.ge, სადაც განთავსებულია საქართველოს მედია რუკა.




## როგორ გადავამოწმოთ ვებ-რესურსის სანდოობა

მედია თავისი საქმიანობის პროცესში სხვადასხვა ელექტრონულ რესურსებს ეყრდნობა. თუმცა, ყველა ვებ-პორტალი როდია სანდრო. იმისთვის, რომ გადაამოწმოთ ვებ-პორტალის სანდოობა, მისი რეგისტრაციის ადგილი და სხვა აუცილებელი რეკვიზიტები, ისარგებლეთ ვებ-გვერდით www.scamadviser.com.

## როგორ გადავამოწმოთ ფოტო

ფოტოს გადასამოწმებლად გამოიყენეთ საძიებო სისტემები www.tineye.com და www.imageraider.com, რომლებიც ფოტოს ატვირთვის შემდეგ ინტერნეტ სივრცეში არსებულ ყველა მსგავსი ფოტოს მოძიებაში დაგეხმარებათ და წარმოდგენას შეგიქმნით მისი წარმომავლობის შესახებ.

მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION
ქობულეთის ქუჩა 34/36, სადარბაზო 1, სართული 4, ბინა 5, 0179, თბილისი, საქართველო.
ტელეფონი: 995 32/ 2 11 20 26; ელ-ფოსტა: mdfgeo@gmail.com; WWW.MDFGEORGIA.GE; WWW. MEDIAMETER.GE

გზამკვლევი მომზადდა მედიის განვითრების ფონდის (MDF) მიერ პროექტის „გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მედია არჩევნებზე დემოკრატიული პრაქტიკის განმტკიცებისთვის“ ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. მასალაში წარმოდგენილი შეფასებები და პოზიცია შესაძლოა არ წარმოადგენდეს ნიდერლანდების სამეფოს პოზიციას.